სოფლის მეურნეობის სიახლეები - საქართველო

USAID-ის ბენეფიციარი ფერმერები „ქართული აგრო სახლის“ მიწოდების ჯაჭვში უნდა ჩაერთონ
USAID-ის მიერ დაფინანსებულ პროექტს „ზრდა“ და კომპანიას „ქართული აგრო სახლი“ შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს. მემორანდუმი ითვალისწინებს პროექტის ბენეფიციარი ფერმერების მხარდაჭერას „ქართული აგრო სახლის“ მიწოდების ჯაჭვში ჩართვის პროცესში და 17 დასახელების სამიზნე მუნიციპალიტეტში ხილის და ბოსტნეულის ბაზრის შექმნაში. საქმე ეხება პროექტის ბენეფიციარებს 5 სამიზნე რეგიონის 81 დასახლებაში, რომლებიც ჩართული არიან პროექტის სამიზნე სექტორებში, როგორიცაა ბოსტნეულის მოყვანა სათბურებში და ღია ტერიტორიებზე. შპს „ქართული აგრო სახლი“ დაარსდა 2016 წელს, დასაქმებულთა საერთო რაოდენობა 30-ს აღემატება.
Sarke Information Agency, 2018 წლის 2 მარტი

THE FINANCIAL: „ორგანული პროდუქციისადმი ინტერესის ზრდა!“
საქართველოში ორგანული პროდუქციისადმი ინტერესი იზრდება, - წერს გაზეთი. „ქიმიური სასუქების ან პესტიციდების გამოყენებაზე, რაც დიდი ხნის განმავლობაში ტრადიციული იყო საქართველოში, უარის თქმა, ისევე როგორც ორგანულ პროდუქციაზე მოთხოვნის სწრაფი ზრდა მთელ მსოფლიოში, ორგანული წარმოების გაფართოების ყველაზე ხშირი არგუმენტია ქვეყანაში“, ვკითხულობთ სტატიაში. საქართველოში ორგანული წარმოების სერტიფიცირების ორგანოა CaucasCert. ამ კომპანიის მიერ გაცემული სერტიფიკატი ასევე აღიარებულია ევროკავშირსა და შვეიცარიაში. „CaucasCert-ის“ უახლესი ინფორმაციის თანახმად, ორგანული სერტიფიკატები საქართველოში 28 მწარმოებელს გადაეცა, ხოლო 40 მწარმოებელი „ორგანული პროდუქციის სერტიფიკატების მიღებისათვის მომზადების/კონტროლის ეტაპზეა“.
Sarke Information Agency, 2018 წლის 26 თებერვალი

აკვაკულტურის ფერმერული მეურნეობების საპილოტე შესწავლა იწყება
„საქსტატი“ აკვაკულტურის მეურნეობების საპილოტე შესწავლას იწყებს. სამსახურის განცხადებით კვლევასთან დაკავშირებული ტრეინინგები და საველე სამუშაოები ჩატარდება ქვეყნის მასშტაბით 22 თებერვლიდან 19 მარტამდე. იგეგმება 70 რეგისტრატორის და საქსტატის რაიონული ქვედანაყოფების თანამშრომლების გადამზადება. ტრენინგები ჩატარდება გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO) თანამშრომლობით სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპული სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში.
Sarke Information Agency, 2018 წლის 23 თებერვალი

ალკოჰოლური სასმელების და ყურძნისგან დამზადებული ალკოჰოლის სერტიფიცირების წესი დამტკიცებულია
გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრმა დაამტკიცა ალკოჰოლური სასმელების და ყურძნისგან დამზადებული ალკოჰოლის სერტიფიცირების წესი. შესაბამისად, მინისტრის 2004 წლის შესაბამისი ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა ალკოჰოლური სასმელების სერტიფიცირების, წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის და ღვინის სორტირების წესი, გაუქმებულია. ახალი ბრძანება ღვინის ეროვნულ სააგენტოს ანიჭებს საქართველოში წარმოებული ან იმპორტირებული ყურძნის ალკოჰოლური სასმელების, ასევე ევროკავშირში ექსპორტირებისთვის განკუთვნილი ყურძნის წვენის და კონცენტრატის სერტიფიცირების უფლებას.
Sarke Information Agency, 2018 წლის 23 თებერვალი

„ლიდერ ფუდმა“ ახალი ხორცის საწარმო დააარსა

კომპანია „ლიდერ ფუდმა“, რომელმაც ახალი ხორცის საწარმო გახსნა სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, 22 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელა, განაცხადეს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროში. საწარმოში, რომელსაც 5 600 კვადრატული მეტრი ფართობი უჭირავს, 550 ადამიანია დასაქმებული, აღნიშნეს სამინისტროში. შპს „ლიდერ ფუდი“ აღნიშნული პროგრამის ფინანსური კომპონენტის ბენეფიციარია. ეს იმას ნიშნავს, რომ სამინისტროს დაქვემდებარებაში მოქმედი სააგენტო საქართველოში 2 წლის განმავლობაში მოზიდული კრედიტის ინტერესის თანადაფინანსებას მოახდენს 0,5 მილიონ ლარამდე პირველი ორი წლის განმავლობაში. სამინისტროს ინფორმაციით, „ლიდერ ფუდი“ ადგილობრივი წარმოების ხორცის გამოყენების გაზრდას გეგმავს.

Sarke Information Agency, 2018 წლის 12 თებერვალი

ბოლნისში ბიზნეს საქმიანობის ეფექტიანი პლატფორმის შექმნისთვის 380 000 ევრო გამოიყო

ბოლნისში ბიზნეს საქმიანობის ეფექტური პლატფორმის შექმნის პროექტის ბიუჯეტი შეადგენს 380 000 ევროს, იუწყება ბოლნისის მუნიციპალიტეტი (ქვემო ქართლის რეგიონი). როგორც მუნიციპალიტეტში აღნიშნეს, დაფინანსება გამოიყოფა ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) საპილოტე პროექტის ფარგლებში. აღნიშნულ თანხაში შედის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება, რომელიც შეადგენს 60 000 ევროს. პროექტი განხორციელდება 3 წლის განმავლობაში. პროექტი ითვალისწინებს აგროცენტრის, ღვინის ჩამოსხმის ხაზის შექმნას, ყველისა და ბოსტნეულის შეფუთვის ტექნიკის შესყიდვას, განაცხადეს მუნიციპალიტეტში. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული საპილოტე პროექტი, რომლის დაფინანსება 1,4 მილიონ ევროს შეადგენს, განხორციელდება ბოლნისში, თბილისსა და გორში (შიდა ქართლი). ამასთან, თბილისის წილი 506 634 ევროს შეადგენს.

Sarke Information Agency,2018 წლის 12 თებერვალი

ერთიანი აგროპროექტის ფარგლებში შპს „ვაგომ“ ხილის და ბოსტნეულის მაცივარი მოაწყო

ერთიანი აგროპროექტის ფარგლებში აგროპროდუქციის პროგრამის ბენეფიციარმა შპს „ვაგომ“ ბოსტნეულის და ხილის მაცივარი მოაწყო, იტყობინება გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. 100 კვადრატული მეტრი ობიექტი მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირში (სამეგრელო). როგორც სამინისტროში აცხადებენ, ინვესტიციები 34 300 ლარს შეადგენდა, მათ შორის 13 720 ლარი გრანტია. „ვაგო“ ასევე შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის ბენეფიციარია, რომლის მეშვეობითაც კომპანიამ თხილის გადამამუშავებელი საწარმო გახსნა. აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა ხორციელდება სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის (AMMAR) პროექტის დახმარებით სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს მიერ. პროექტი დაფინანსებულია სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) და გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF) მიერ. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სააგენტო უზრუნველყოფს პროექტის ჯამური ღირებულების 40%-ის თანადაფინანსებას, ხოლო პროგრამის ბენეფიციარი - 60%-ს. საერთო ჯამში, ერთიან აგროპროექტს ამჟამად 125 ბენეფიციარი ჰყავს, ხოლო სახელმწიფო თანადაფინანსება 2,75 მილიონ ლარს შეადგენს.

Sarke Information Agency, 2018 წლის 7 თებერვალი

პუბლიკაციები და სხვა

Business & Finance Consulting (BFC)-ის საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი, 2018 წლის ივლისის #66 გამოცემა

საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი წარმოადგენს რეგულარულ სიახლეებს ინვესტიციების და ფინანსური ნაკადების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობაში. გამოცემას გაეცანით ამ ბმულზე:
http://agrogeorgia.blog.com/

ევროკავშირ/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენი

ევროკავშირი/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენის ბოლო გამოცემა ხელმისაწვდომია. იხილეთ ამ ბმულზე:
http: eeas.europa.eu/delegations/georgia/

ENPARD: ახალი ამბები სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამიდან

სიახლეები იხ. ამ ბმულზე:
www.enpard.ge

DWV & AGRICULTURE

თუ ეძებთ ინფორმაციას იმ კომპანიების შესახებ, რომლებიც საქმიანობენ სოფლის მეურნეობის და კვების დარგებში.
იხილეთ ცნობები და ჩვენი წევრების საკონტაქტო მონაცემები ამ ბმულზე:
www.dwvg.ge

Agro & Food Up-to-Date

Agro & Food-ის ყოველდღიურად განახლებადი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს ვებსაიტზე: http://georgien.ahk.de/georgien/newsletter/agro-food-news-georgia/.